

შპს ტრანს მალი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება საანგარიშო წლისათვის,
რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს.

სარჩევი:

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----	3
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება -----	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება -----	5
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები ----	6-20

შპს "ტრანს მალი"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31-12-2020	31-12-2019
აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	3	100.00	18,578
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	404,474.00	656,457
მარაგები	5	7,219.00	19,064
წინასწარ გადახდილი გადასახადები		-	8,512
ძირითადი საშუალებები	6	270,566.00	512,960
სხვა გრძელვადიანი აქტივები	7	86,862.00	65,957
სულ აქტივები		769,221.00	1,281,528
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	385598	452900
გადასახდელი ხელფასები		111330	0
საგადასახადო ვალდებულებები		15425	0
მოკლევადიანი სესხები	9	151461	118487
გრძელვადიანი სესხები	9	1380263	1067447
სულ ვალდებულებები		2,044,077.00	1,638,834.00
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		648275	672,804
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		(1,923,131)	(1,030,110)
გადაფასების რეზერვი		0	-
სულ კაპიტალი		(1,274,856)	(357,306)
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		769,221.00	1,281,528

დირექტორი: -----
რევაზ ჩიგოგინძე

შპს "ტრანს მალი"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31-12-2020	31-12-2019
აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	3	100.00	18,578
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	404,474.00	656,457
მარაგები	5	7,219.00	19,064
წინასწარ გადახდილი გადასახადები		-	8,512
ძირითადი საშუალებები	6	270,566.00	512,960
სხვა გრძელვადიანი აქტივები	7	86,862.00	65,957
სულ აქტივები		769,221.00	1,281,528
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	385598	452900
გადასახდელი ხელფასები		111330	0
საგადასახადო ვალდებულებები		15425	0
მოკლევადიანი სესხები	9	151461	118487
გრძელვადიანი სესხები	9	1380263	1067447
სულ ვალდებულებები		2,044,077.00	1,638,834.00
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		648275	672,804
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		(1,923,131)	(1,030,110)
გადაფასების რეზერვი		0	-
სულ კაპიტალი		(1,274,856)	(357,306)
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		769,221.00	1,281,528

დირექტორი:

რევაზ ჩიგლაძე

შპს "ტრანს მალი"

მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2020

წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები	11	16,105	1,407,082
ამონაგების თვითღირებულება	12	(20,145)	(581,601)
საერთო მოგება	-	(4,040)	825,481
სხვა შემოსავლები	13	5,082	28,466
შრომის ანაზღაურება		(60,783)	(392,300)
ცვეთა და ამორტიზაცია		(171,909)	(328,129)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	14	(252,749)	(424,472)
საოპერაციო მოგება		(484,399)	(290,954)
ფინანსური ხარჯი	15	(57,073)	(72,347)
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება		(351,549)	(69,137)
მოგება დაბეგვრამდე		(893,021)	(432,438)
მოგების გადასახადი			
წმინდა მოგება		(893,021)	(432,438)
მთლიანი სრული შემოსავალი		(893,021)	(432,438)

დირექტორი: -----

რევაზ ჩიგოგიძე


შპს "ტრანს მალი"

მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2020
წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები	11	16,105	1,407,082
ამონაგების თვითღირებულება	12	(20,145)	(581,601)
საერთო მოგება	-	(4,040)	825,481
სხვა შემოსავლები	13	5,082	28,466
შრომის ანაზღაურება		(60,783)	(392,300)
ცვეთა და ამორტიზაცია		(171,909)	(328,129)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	14	(252,749)	(424,472)
საოპერაციო მოგება		(484,399)	(290,954)
ფინანსური ხარჯი	15	(57,073)	(72,347)
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება		(351,549)	(69,137)
მოგება დაბეგვრამდე		(893,021)	(432,438)
მოგების გადასახადი			
წმინდა მოგება		(893,021)	(432,438)
მთლიანი სრული შემოსავალი		(893,021)	(432,438)

დირექტორი:

რევაზ ჩიგოგიძე



შპს "ტრანს მალი"

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2019 წლის 31 დეკემბერი	672,804	-	(1,030,110)	(357,306)
წმინდა მოგება	-	-	(893,021)	(893,021)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	(893,021)	(893,021)
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	(24,529)	-	-	(24,529)
2020 წლის 31 დეკემბერი	648,275	-	(1,923,131)	(1,274,856)


დირექტორი: -----

რევაზ ჩიგოგიძე

შპს "ტრანს მალი"

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2019 წლის 31 დეკემბერი	672,804	-	(1,030,110)	(357,306)
წმინდა მოგება	-	-	(893,021)	(893,021)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	(893,021)	(893,021)
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	(24,529)	-	-	(24,529)
2020 წლის 31 დეკემბერი	648,275	-	(1,923,131)	(1,274,856)

დირექტორი: 
რევაზ ჩიგოგიძე

შპს ტრანს-მალი 2020 წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ტრანს-მალი“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2004 წლის 04 ოქტომბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 205040793. კომპანიის იურიდიული მისამართია ქ.თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი ნატახტარის ქ. #23, ფაქტიური მისამართი თბილისი, ქვემო ალექსეევკის დასახლება. კომპანია დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულია 2005 წლის 1-ელი თებერვლიდან.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სატვირთო საგზაო ტრანსპორტით მომსახურება. შპს „ტრანს-მალი“ გადაზიდვებს ახორციელებს შიდა და საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვებს.

კომპანიის წილის მფლობელები არიან: 90%-იანი წილის მფლობელი რევაზ ჩიგოგიძე 01008021327, 10%-იანი წილის მფლობელი მალხაზი ცინდელიანი 01015002344.

კომპანიის დირექტორია რევაზ ჩიგოგიძე 01008021327.

შპს ტრანს-მალი არის, შპს კამაზ-2002-ის ს/კ 206125771 100 %-იანი წილის მფლობელი.

შპს კამაზ-2002 2017 წლიდან ეკონომიკურ საქმიანობას აღარ ახორციელებს.

შენიშვნა: შპს „ტრანს-მალი“-ს მიერ 2018 წელს წარმოდგენილი იყო ინდივიდუალური და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. 2019 წელს კომპანიამ წარმოადგინა მხოლოდ ინდივიდუალურ ფინანსური ანგარიშგება, ვინაიდან შპს. კამაზ-2020-ს დროებით შეჩერებული აქვს ეკონომიკური საქმიანობა, არ გააჩნია მატერიალური ფასეულობები და მისი ბალანსი ნულის ტოლია. შესაბამისად, 2020 წლის ბოლოს შპს „ტრანს-მალი“-ის კონსოლიდირებული ფინანსური შედეგები იდენტურია ინდივიდუალური ფინანსური შედეგების და **2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია წარმოადგენს მხოლოდ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას.**

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში, ეროვნულ ვალუტაში და მრგვალდება უახლოეს მთელ რიცხვამდე. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ეს ვალუტა ყველაზე მისაღებია ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისათვის და კარგად ასახავს კომპანიის მოვლენებისა და ოპერაციების ეკონომიკურ შინაარსს.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით, საწარმო აკმაყოფილებს ფუნქციონირებადი საწარმოს მოთხოვნებს;

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. 2020 წლის 31 დეკემბერს და 2019 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3,2766	4,0233
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2,8677	3,2095

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები:

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ტერმინების განმარტებები:

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას.

ფინანსური აქტივი ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი სახეობაა.

კომპანია ფინანსური აქტივების სახით ფლობს, მსს ფასს 11 განყოფილების „ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტების“ თანახმად, შემდეგ **ძირითად** ფინანსურ ინსტრუმენტებს:

ა) რეზიდენტი ბანკების საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს;

და

ბ) 3 თვემდე მოთხოვნამდე და 12 თვემდე ფიქსირებულვადიანი დეპოზიტების საბანკო ანგარიშებს რეზიდენტ ბანკებში.

კომპანია განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ჯგუფების მიხედვით.

კომპანია იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

თავდაპირველად ფინანსური აქტივები ფასდება თვითღირებულებით. ფინანსური აქტივების თვითღირებულება არის ოპერაციის/გარიგების ფასი გარიგების დანახარჯების ჩათვლით.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც, აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს გასდის ვადა.

დებიტორული დავალიანების გაუფასურება

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ცალსახად არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება არსებული ფინანსური აქტივების გაუფასურებისა. იმ შემთხვევაში, თუ მომავალ პერიოდში არსებითად გაიზრდება დებიტორული დავალიანების თანხა და ადგილი ექნება გაუფასურების გამომწვევ მიზეზებს, როგორიცაა: ხელშეკრულების პირობების დარღვევა, მომავალი ფულადი ნაკადების სიდიდის შემცირება, ემიტენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სიმძნელები, თუ

ცხადი გახდება, რომ დებიტორთან დაკავშირებით დაიწყება გაკოტრების, ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის პროცესი, - საწარმო დაუყოვნებლივ შექმნის საექვო და უიმედო მოთხოვნების რეზერვებს (ანარიცხებს), და აღიარებს გაუფასურების ზარალს შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები, აღიარება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით.

ვალდებულებების პირვანდელი ღირებულება არის მიღებული არაფულადი აქტივების რეალური ღირებულება ვალდებულების წარმოქმნის მომენტისათვის, რომლის სანაცვლო ფულადი აქტივი ჯერ არ მიწოდებულა;

ან, მიღებული ფულადი სახსრების ოდენობა, რომლის სანაცვლო არაფულადი აქტივი ჯერ არ მიწოდებულა;

ან, ზოგიერთ შემთხვევაში (მაგალითად, მოგების გადასახადისათვის), იმ ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, რომლის საწარმოდან გასვლა მოსალოდნელია ვალდებულების დასაფარავად საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს მაშინ, როცა ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. საკურსო სხვაობა ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე მარაგების ძირითადი ნაწილი მოიხმარება სატრანსპორტო საშუალებების მიმდინარე რემონტზე.

მარაგების ჩამოწერა ხორციელდება **საშუალო შეწონილი მეთოდით**.

ძირითადი საშუალებები

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით.

თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი

ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება შემცირებადი ნაშთის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით;
ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
ტექნიკა-მოწყობილობები	7-10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	4-8 წელი
კონტეინერები	14 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	6-10 წელი

აქტივის გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივებისა გატესტვა გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება აქტივის საბალანსო ღირებულება, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში

სავაჭრო ვალდებულება

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად

ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

დაბეგვრა

კომპანიის გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდება, როგორც საგადასახადო აქტივები.

ამონაგების აღიარება

კომპანიის მიერ მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, მომსახურების დასრულების შემდგომ, როდესაც მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში და ამონაგების ოდენობის შეფასება საიმედოდ არის შესაძლებელია. თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საექვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება—ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან

შეწყვიტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

• **ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები** - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

• **მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები** - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

• **სასამართლო დავები** - კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. იქ, სადაც რომელიმე კრიტერიუმი არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება იქნას გაშიფრული ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გაშიფვრა ფინანსურ ინფორმაციაში ჯერ არ მომხდარა, შეიძლება ქონდეს არსებითი გავლენა ფინანსურ ინფორმაციაზე. აქედან გამომდინარე კომპანიის ხელმძღვანელობისგან აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს არსებულ თუ მომავალ სასამართლო დავებთან დაკავშირებით. კომპანია განიხილავს ყოველ მიმდინარე სასამართლო დავას და აფასებს მის შედეგებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, რათა განსაზღვროს საჭიროა თუ არა შესაბამისი ანარიცხის შექმნა. შეფასების დროს გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: დავის ხასიათი, მომჩივანია თუ მოპასუხე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და პოტენციური ზარალის დონე, იურისტების მიმოხილვა და რჩევები, გამოცდილება მსგავსი შემთხვევებიდან და სხვა. 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონია სასამართლო დავები.

წინა პერიოდის შეცდომების გასწორება

კომპანიის ხელმძღვანელობამ მოახდინა შეცდომის იდენტიფიცირება 2019 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, შესაბამისად მოხდა წინა საანგარიშგებო პერიოდის ბალანსების გადახედვა. რის გამოც დაკორექტირებულია შესაბამისი პერიოდის ზოგიერთი მუხლი და მიგვაჩნია, რომ მსგავსი სახით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა უფრო სწორ სურათს გვაჩვენებს. კორექტირებები წარმოდგენილია ქვემოთ ნაჩვენებ ცხრილში:

ვალდებულებები	კორექტირებული 2019 წლის 31 დეკემბრის დგომარეობით	წინა წლის მონაცემების კორექტირება	თავდაპირველი წარდგენა
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	452,899	14,000	438,899
საკუთარი კაპიტალი	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება	1,030,110	14,000	1,016,110

მოგება- ზარალი	კორექტირებული 2019 წლის 31 დეკემბრის დგომარეობით	წინა წლის მონაცემების კორექტირება	თავდაპირველი წარდგენა
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	424,472	14,000	410,472
	-	-	-
	424,472	14,000	410,472

შენიშვნა: ზემოთ აღნიშნული კორექტირება რადგან არა არსებითია (14000 ლარი), ციფრულ ფორმაში შეტანილია 2020 წლის საქმიანობის შედეგების განყოფილებაში - მუხლით: სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში.

შენიშვნა 3 -ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

ლარში	31/12/2020	31/12/2019
ფული სალაროში	-	14,598
ფული საბანკო ანგარიშებზე	100	3,980
	100	18,578

შენიშვნა 4 -სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ლარში	31/12/2020	31/12/2019
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	657,717	686,270
დებიტორული დავალიანების ანარიცხი	(253,244)	(30,089)
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	-	276
	404,474	656,457

ყველა თანხა არის მოკლევადიანი. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება მიჩნეულია დაახლოებით გონივრულ რეალურ ღირებულებად.

სავაჭრო მოთხოვნების ამოღების პერიოდი შეადგენს დაახლოებით 30-180 დღეს. კომპანიის მენეჯმენტს ქმნის დებიტორული დავალიანების ანარიცხს 180 დღეზე მეტი ვადაგადაცილების შემთხვევაში 50%-ს ოდენობით, ხოლო 365 დღეზე მეტი ვადაგადაცილების შემთხვევაში სრულად 100 %-ით ახდენს მოთხოვნების დარეზერვებას;

შენიშვნა 5 -მარაგები

ლარში	31/12/2020	31/12/2019
სხვა მარაგები	7,219	19,064
	7,219	19,064

შენიშვნა -6

ძირითადი საშუალებები

	ტექნიკა- მოწყობილობები	სატრანსპორტო საშუალებები	კონტეინერები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	ჯამი
ლარში					
2019 წლის ბოლოს მდგომარეობით	103,643	1,274,549	6,458	32,059	1,416,709
შესყიდვა				-	-
გასვლა		191,207	6,458		197,665
2020 წლის ბოლოს მდგომარეობით	103,643	1,083,342	-	32,059	1,219,044
დაგროვილი ცვეთა					
2019 წლის ბოლოს მდგომარეობით	62,133	818,111	4,807	18,697	903,749
ცვეთის ხარჯი	12,569	155,425	-	3,916	171,909
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა		122,372	4,807		127,180
2020 წლის ბოლოს მდგომარეობით	74,702	851,164	-	22,612	948,478
საბალანსო ღირებულება					
2019 წლის ბოლოს	41,510	456,438	1,650	13,363	512,960
2020 წლის ბოლოს	28,941	232,178	-	9,447	270,566

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის სატრანსპორტო საშუალებები, გამოყენებულია კომპანიის სესხის უზრუნველყოფად.

შენიშვნა 7- სხვა გრძელვადიანი აქტივები

ლარში	31.12.2020	31.12.2019
უზრუნველყოფაში მიმართული ფულადი თანხები	86,862	65,957
სულ ჯამი	86,862	65,957

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხის უზრუნველყოფაში მიმართულია, კომპანიის ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრები

შენიშვნა 8-სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

ლარში	31/12/2020	31/12/2019
სავაჭრო ვალდებულებები	385,598	350,740
გადასახდელი ხელფასები	111,330	102,160
	496,928	452,900

შენიშვნა 9 -სესხები

ლარში	31/12/2020	31/12/2019
მოკლევადიანი სესხები	151,461	118,487
გრძელვადიანი სესხი	1,380,263	1,067,447
	1,531,724	1,185,934

გრძელვადიანი საბანკო სესხის დაფარვა ხდება 2024 წელს, სესხი განსაზღვრულია აშშ დოლარში, საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 11%-ს .

საბანკო სესხი უზრუნველყოფაში მიმართულია სატრანსპორტო საშუალებები;

შენიშვნა 11 - ამონაგები

ლარი	31/12/2020	31/12/2019
შემოსავალი მომსახურებიდან	16,105	1,407,082
	16,105	1,407,082

შენიშვნა-12 -თვითღირებულება

ლარი	31/12/2020	31/12/2019
ტრანსპორტირების ხარჯი	(3,179)	0
საწვავის ხარჯი	(13,176)	(479,125)
მივლინების ხარჯები	(321)	(71,857)
დაზღვევის ხარჯი	(61)	(30,718)
სატერმინალო ხარჯი	(3,407)	0
	(20,144)	(581,601)

შენიშვნა 13 - სხვა შემოსავალი

ლარი	31/12/2020	31/12/2019
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული შედეგი	4,169	28,466
დებიტორული დავალიანების ანარიცხების ამობრუნება	-	-
საგადასახადო შეღავათი (კოვიდი)	913	-
	5,082	28,466

შენიშვნა 13 - ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ლარი	31/12/2020	31/12/2019
ა/მანქანების რემონტის ხარჯი	(3,757)	(122,002)
საიჯარო ქირა	(15,446)	(166,835)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	(8,390)	(135,635)
	(27,594)	(424,472)

შენიშვნა 14 - ფინანსური ხარჯი

ლარი	31/12/2020	31/12/2019
პროცენტის ხარჯი	(57,073)	(72,347)
	(57,073)	(72,347)

პირობითი ვალდებულება

კომპანიის წინააღმდეგ არანაირი სარჩელის წარმოება არ მიმდინარეობს;

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე კორონა ვირუსის (COVID-19) პანდემიით გამოწვეულმა გარემოებებმა, 2020 წლის მარტის თვიდან შეაფერხა კომპანიის ეკონომიკური საქმიანობა რაც უარყოფითად აისახა კომპანიის ფულად ნაკადებსა და შემოსავალზე. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სახმელეთო სატვირთო გადაზიდვები. აღნიშნულმა გარემოებამ შეამცირა ტვირთის გადაზიდვებზე მოთხოვნა. ასევე პრობლემები შეექმნა საწარმოს, კერძოდ სატრანსპორტო საშუალებებების შენარჩუნებაში, ვინაიდან კომპანიის სატრანსპორტო საშუალებები გამოყენებულია კომპანიის სესხის უზრუნველყოფად.

კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ აქვს რესურსი და ყველა პირობა იმისთვის, რომ საქმიანობა განაგრძოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულია
2021 წლის 27 სექტემბრით;

დირექტორი:

რევაზ ჩიგოგიძე

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულია
2021 წლის 27 სექტემბრით;

დირექტორი:
რევაზ ჩიგოგინძე



რ. ჩიგოგინძე